



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 23/ს
18/01/2023

23-21-4-202301181655



ქ. ქუთაისში, შპს „ფირმა ალავერდის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ფირმა ალავერდის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირ N30-ში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირ N30-ში, შპს „ფირმა ალავერდის“ საკუთრებაში არსებულ 1282 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 03.01.21.786). წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად საწარმოო ტერიტორიიდან სამხრეთით, 10 მეტრის დაშორებით მიედინება ბეტონის არხში მოქცეული 22 კმ-ის სიგრძის ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ოლასკურა, აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი გენგემის თანახმად, უშუალოდ ნავთობპროდუქტების განთავსების ადგილიდან მდ. ოლასკურა დაშორებულია 10 მეტრზე მეტი მანძილით. საპროექტო ტერიტორიის ჩრდილოეთით მდებარეობს შპს „პეტროლის“ ყოფილი ავტოგასამართი სადგური შენობა-ნაგებობით, ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი მდებარეობს 70 მ-ის მანძილზე.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ელემენტების მოწყობა: ოფისი საოპერატორო, სარეზერვუარო პარკი, საწვავის მარიგებელი სვეტი (ორი ერთეული) და ავტოცისტერნის სადგომი მოედანი. საპროექტო ტერიტორიაზე ასევე განთავსდება 2 (თითოეული 25მ³ მოცულობის) ერთეული ლითონის საწვავის რეზერვუარი, საწვავისთვის გათვლილი თითოეული რეზერვუარი იქნება გადატიხრული, რომ მოხდეს სხვადასხვა ნავთობპროდუქტების შენახვა: პირველი რეზერვუარი განკუთვნილი იქნება ბენზინის ტიპის საწვავისთვის (ევრო რეგულარი 15მ³ და პრემიუმი 10მ³), ხოლო მეორე დიზელის ტიპის საწვავისთვის (დიზელი 15მ³ და ევროდიზელი 10მ³). რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშა სარკოფაგში. სარეზერვუარო პარკი შევსებული იქნება ინერტული მასალით -

ღორღით. რეზერვუარები აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 3,5 მ, დიამეტრი - 0.05 მ) და საწვავის მიმღებ-გამცემი გაყვანილობა, ასევე დამონტაჟდება ელ. ძრავები, რომლებიც საწვავისთვის განკუთვნილი მილსადენით, რეზერვუარიდან საწვავს მიაწვდიან საწვავმარიგებელ 2 სვეტს, რომელთაგან ერთი განახორციელებს დიზელის, ხოლო მეორე ბენზინის საწვავის რეალიზაციას.

ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება დღის საათებში, ავტოცისტერნების საშუალებით. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია ჯამურად 10220 მ³ ლიტრი საწვავის რეალიზაცია (5475 მ³ ლიტრი ბენზინი და 4745 მ³ ლიტრი დიზელი). ავტოგასამართი სადგური იმუშავებს წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი. ობიექტზე დასაქმებული იქნება 2 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება მოხდება მხოლოდ საყოფაცხოვრებო-სამეურნეო მიზნებისთვის, რისთვისაც წყალსარგებლობა განხორციელდება ადგილობრივი წყალმომარაგების სისტემიდან. ობიექტზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება დაგეგმილია ქ. ქუთაისის საკანალიზაციო სისტემაში. სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ინფრასტრუქტურული ობიექტები განთავსებული იქნება გადახურული ნაგებობის ქვეშ, შესაბამისად, სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი ნავთობპროდუქტებით არ არსებობს. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მობეტონდება და მოეწყობა შემკრები არხები, რომელიც დაერთებული იქნება მიწისქვეშა, ბეტონის სალექარ ავზთან, სადაც საწვავის დაღვრის შემთხვევაში მოხდება მისი ჩადინება. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების ჩადინება მოხდება ქ. ქუთაისის სანიაღვრე სისტემაში.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ადგილობრივი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო, სახიფათო ნარჩენები, მათ შორის ნავთობდამჭერში პერიოდულად დაგროვებული საწვავი, რომლის სავარაუდო რაოდენობა წლის განმავლობაში არ აღემატება 5 ლიტრს, შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

საწარმოს საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნასა და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ავტოცისტერნებიდან რეზერვუარებში ნავთობპროდუქტების მიღებისას და გაცემისას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას, წლის განმავლობაში, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა უმნიშვნელოა და არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დასაშვებ ნორმებს, ამასთან აღსანიშნავია, რომ

ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არ ფუნქციონირებს ანალოგიური ტიპის ობიექტები.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო. ამასთან, საწარმოს სპეციფიკის და განთავსების ადგილის გათვალისწინებით ხმაურით გამოწვეული უარყოფითი გავლენა მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ მდებარეობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ტერიტორია, სადაც დაგეგმილია ავტოგასამართი სადგურის მოწყობა, წარმოადგენს მოსწორებულ, მცენარეული საფარისგან თავისუფალ მიწის ნაკვეთს. ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა არ იქნება დაკავშირებული მნიშვნელოვან სამშენებლო და მიწის სამუშაოების წარმოებასთან, შესაბამისად, მისი მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს არ ფიქსირდება ანალოგიური პროფილის მქონე მოქმედი ობიექტი, შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გაგზავნილ იქნა ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკის, საპროექტო პარამეტრების და საქმიანობის განხორციელების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ქუთაისში შპს „ფირმა ალავერდის“ ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგურის) მოწყობა და ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

2. შპს „ფირმა ალავერდი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ფირმა ალავერდს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ფირმა ალავერდის“ მიერ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო